საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ
GEORGIAN NATIONAL UNIVERSITY SEU

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს აკადემიური საბჭოს რეგლამენტი

დამტკიცებულია
აკადემიური საბჭოს 2021 წლის 19 მარტის №02 ოქმით

თბილისი
2021

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს (შემდგომში - სეუ) აკადემიური საბჭოს წინამდებარე რეგლამენტით რეგულირდება სეუ-ს აკადემიური საბჭოს შემადგენლობა, ფუნქციები, უფლებამოსილება და მისი განხორციელების წესი და პროცედურები.
2. აკადემიური საბჭო იქმნება რექტორის სამართლებრივი აქტით, სეუ-ს დებულებით განსაზღვრული წესის შესაბამისად.
3. აკადემიური საბჭო, თავისი საქმიანობის განხორცელებისას, სეუ-ს მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, მისი კომპეტენციის ფარგლებში, ხელმძღვანელობს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, სეუ-ს დებულებით, ამ რეგლამენტითა და სეუ-ს მოქმედი სხვა სამართლებრივი აქტებით.
4. წინამდებარე რეგლამენტი სავალდებულოა შესასრულებლად სეუ-ს აკადემიური საბჭოს თითოეული წევრისათვის.

მუხლი 2. აკადემიურ საბჭოს მიზანი

აკადემიური საბჭო არის სეუ-ს წარმომადგენლობითი კოლეგიური მართვის ორგანო, რომლის მიზანია უზრუნველყოს სეუ-ში აკადემიური საკითხების გადაჭრა სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, სეუ-ს მისიის, სტრატეგიისა და ხარისხის უზრუნველყოფის გეგმების შესაბამისად.

მუხლი 3. აკადემიური საბჭოს ფუნქციები და უფლებამოსილებები

1. აკადემიური საბჭოს ფუნქციებია:

ა) უნივერსიტეტის მისიის განხილვა და განახლება;

ბ) ინსტიტუციური სტრატეგიების მიღება, უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების, ინტერნაციონალიზაციისა და კვლევითი განვითარების გეგმების შესრულების მონიტორინგი;

გ) უნივერსიტეტის სწავლებისა და კვლევის წარმართვა, რეგულირება და ხელშეწყობა, ფაკულტეტებისა და საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების ყოველწლიური გეგმების მიღება;

დ) ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და არსებული საგანმანათლებლო პროგრამების გადასინჯვის პირობების დადგენა, სამუშაო ჯგუფის წევრების დანიშვნა და სამუშაო ვადების განსაზღვრა;

ე) ახალი საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცება, ხარისხის განვითარების დეპარტამენტის დასკვნისა და შესაბამისი დოკუმენტების საფუძველზე;

ვ) ფაკულტეტის საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე, გადაწყვეტილების მიღება - თითოეულ ფაკულტეტზე რეკომენდირებულ სტუდენტთა კონტიგენტისა და პირველკურსელ სტუდენტთა რაოდენობის შესახებ;

ზ) აკადემიური და კვლევითი პროფესიული განვითარების შესახებ ყოველწლიური ანგარიშის განხილვა და მათი გაუმჯობესების მიმართულებით მოსაზრებების ჩამოყალიბება;

თ) აკადემიური პერსონალის მოზიდვისა და წახალისების თაობაზე გადაწყვეტილებების მიღება, ფაკულტეტის საბჭოს წინადადებებისა და ვიცე-რექტორების წლიური ანგარიშების საფუძველზე;

ი) ფაკულტეტის საბჭოს მიერ წარმოდგენილი ფაკულტეტის კვლევითი გეგმისა და კვლევის ანგარიშის დამტკიცება;

კ) ინსტიტუციური კვლევითი ფონდის (IRF) ყოველწლიური გეგმებისა და ანგარიშების დამტკიცება; კვლევითი პროექტების განაცხადების შესაფასებლად ექსპერტთა ჯგუფის წევრების დანიშვნა;
ლ) თვითშეფასების ანგარიშების შეფასება და სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით შემოთავაზებული ზომების გადახედვა;
მ) უნივერსიტეტში აკადემიური მმართველობის სტრუქტურისა და პროცედურების გაუმჯობესების მიზნით წინადადებების შემუშავება;
ნ) ფინანსური კომიტეტის ერთი წევრის არჩევა;
ო) აკადემიური საბჭოსთვის შესაბამისი პროცედურების და სამუშაო მეთოდების დადგენა;
პ) ასრულებს კანონმდებლობით, ამ დებულებითა და უნივერსიტეტის შიდა მარეგულირებელი აქტებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 4. აკადემიური საბჭოს შემადგენლობა

1. სეუ-ს აკადემიური საბჭო შედგება 21, მათ შორის, 10 მუდმივი და 11 არჩეული წევრისგან.
2. აკადემიური საბჭოს მუდმივი წევრობა უკავშირდება სეუ-ში დაკავებულ ადმინისტრაციულ თანამდებობას. აკადემიურ საბჭოში თანამდებობრივად შედიან: რექტორი, ყველა (ოთხი) ვიცე-რექტორი, ყველა (ოთხი) ფაკულტეტის დეკანი და ხარისხის განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი.
3. აკადემიური საბჭოს არჩეული წევრები არიან: თითოეული ფაკულტეტის საბჭოს მიერ შერჩეული ორი აფილირებული აკადემიური პერსონალი (ჯამში რვა) და სამი სტუდენტი, რომლებსაც შეარჩევს სეუ-ს სტუდენტური თვითმმართველობა.
4. სტუდენტურ თვითმმართველობას ეძლევა რეკომენდაცია აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში წარადგინოს მაღალი აკადემიური მოსწრებისა და ორგანიზაციული უნარების მქონე აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტები, სწავლების სხვადასხვა საფეხურიდან.
5. აკადემიური საბჭოს თავმჯდომარეა რექტორი.

მუხლი 5. აკადემიურ საბჭოში არჩეული წევრის უფლებამოსილების ცნობა

აკადემიური საბჭოს წევრის ფაკულტეტის საბჭოს/სტუდენტური თვითმმართველობის არჩევის შემდეგ მის უფლებამოსილებას აკადემიური საბჭო ცნობს პირველივე სხდომაზე.

მუხლი 6. აკადემიური საბჭოს წევრთა უფლებამოსილების ვადა

1. აკადემიური საბჭოს მუდმივი წევრის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება სეუ-ში მის მიერ დაკავებულ თანამდებობაზე (რექტორი, ვიცე-რექტორი, ფაკულტეტის დეკანი და ხარისხის განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი) ყოფნის ვადით.
2. აკადემიური საბჭოს წევრი აფილირებული აკადემიური პერსონალისა და სტუდენტური თვითმმართველობიდან წარმოდგენილი სტუდენტების უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება ორი კალენდარული წლით.
3. აკადემიური საბჭოს არჩეული წევრის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, ფაკულტეტის საბჭოს და/ან სტუდენტური თვითმმართველობის მიერ წარდგენილი კანდიდატი ინიშნება დარჩენილი ვადით.
4. აკადემიური საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლებია:
   ა) პირადი განცხადება;

ბ) საბჭოში თანამდებობრივი პოზიციით შესული წევრის შემთხვევაში, იმ თანამდებობიდან გათავისუფლება, რაც ითვალისწინებს საბჭოს წევრობას;
გ) საბჭოს აფილირებული აკადემიური წევრის შემთხვევაში, აკადემიური თანამდებობიდან გათავისუფლება და/ან აფილირების შეთანხმების შეწყვეტა სეუ-სთან;
დ) საბჭოს სტუდენტი წევრის შემთხვევაში, სტუდენტის სტატუსის შეჩერება/შეწყვეტა;
ე) მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა.

5. აკადემიური საბჭოს წევრის მიერ აკადემიური საბჭოს სხდომაზე არასაპატიო მიზეზით ერთი წლის განმავლობაში 3-ჯერ გამოუცხადებლობა მიიჩნევა აკადემიური საბჭოს წევრის მხრიდან ჩადენილ არაეთიკურ ქმედებად.

მუხლი 7. აკადემიური საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა

1. აკადემიური საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს აკადემიური საბჭოს მდივანი.
2. საბჭოს მდივნის უფლებამოსილება, სეუ-ს დებულების საფუძველზე, დაკისრებული აქვს რექტორის აპარატის უფროსს.
3. საბჭოს მდივანი უზრუნველყოფს აკადემიური საბჭოს სხდომების ჩატარების ორგანიზებას, საბჭოს წევრთა დროულ ინფორმირებასა და საბჭოს სხდომებზე მოწვევას, მათთვის დღის წესრიგის გაცნობას, საბჭოს სხდომის ოქმის შედგენასა და შენახვას.
4. საბჭოს მდივანი ვალდებულია აკადემიური საბჭოს ოქმები დროულად მიაწოდოს სეუ-ს შესაბამის სტრუქტურული ერთეულებს და პირებს. ამ მიზნით, საბჭოს მდივანი სხდომის ოქმის სკანირებულ ვერსიას ატვირთავს ელექტრონულ სისტემაში reg.seu.edu.ge, საბჭოს სხდომის გამართვიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის ვადაში.
5. აკადემიური საბჭოს მდივანი სამი კალენდარული წლის დასრულებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა, აკადემიური საბჭოს ოქმებს გადასცემს შესანახად სეუ-ს საქმისწარმოებისა და რეესტრის სამსახურს (არქივს).
6. აკადემიური საბჭოს მდივნის არყოფნის შემთხვევაში, მის მოვალეობას ასრულებს საბჭოს დამსწრე წევრთა უმრავლესობის მიერ დასახელებული პირი.

მუხლი 8. აკადემიური საბჭოს სხდომების ჩატარების წესი

1. აკადემიური საბჭო თავის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებს განიხილავს საბჭოს სხდომებზე.
2. აკადემიური საბჭოს სხდომებს თავმჯდომარეობს რექტორი.
3. რექტორის არყოფნის შემთხვევაში, როგორც წესი, საბჭოს სხდომის თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში ერთ-ერთი სხვა ვიცე-რექტორი, რომელსაც გადაწყვეტს რექტორი.
4. აკადემიური საბჭო მოიწვევა საჭიროებისამებრ, მაგრამ წელიწადში არანაკლებ ოთხჯერ. სხდომა მოიწვევა რექტორის ინიციატივით, ერთ-ერთი ვიცე-რექტორის ან საბჭოს წევრთა 1/3-ის მიერ.
5. აკადემიური საბჭოს მდივანი აკადემიური საბჭოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით, სხდომის ჩატარებამდე არანაკლებ სამი დღით ადრე ადგენს დღის წესრიგს. დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებს მიეთითება მომხსენებელი. საბჭოს დღის წესრიგი და შესაბამისი

მასალა წინასწარ ეგზავნება კორპორატიულ ელექტრონულ ფოსტაზე აკადემიური საბჭოს წევრებს, სხდომის ჩატარებამდე არანაკლებ ორი დღით ადრე.

6. აკადემიური საბჭოს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის შინაარსიდან გამომდინარე შესაძლებელია, სხდომაზე მოწვეულ იქნას მომხსენებელი.
7. აკადემიური საბჭოს წევრი უფლებამოსილია სხდომაზე მისი ჩართვა და კენჭისყრაში მონაწილეობა განახორციელოს ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით, იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს აკადემიური საბჭოს წევრის პირდაპირი ვიზუალური კონტაქტი და შესაძლებელი იყოს მისი ხმის იდენტიფიცირება.
8. აკადემიური საბჭო უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება საბჭოს 10 წევრი.
9. აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე სხდომის დაწყებისთანავე წარადგენს დღის წესრიგის პროექტს, რომელსაც საბჭო ამტკიცებს ან/და დღის წესრიგში შეაქვს დამატებები/ცვლილებები.
10. აკადემიურ საბჭოზე გადაწყვეტილებები მიიღება ღია კენჭისყრით. კენჭისყრა ტარდება ხელის აწევით. საბჭოს თითოეული წევრი სარგებლობს ერთ ხმის უფლებით. საბჭოს წევრს არა აქვს ხმის მიცემისაგან თავის შეკავების უფლება.
11. აკადემიური საბჭოს სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება სხდომაზე დამსწრეთა ხმების სულ მცირე 2/3-ით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა.
12. აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება ფორმდება საოქმო გადაწყვეტილების სახით. საბჭოს გადაწყვეტილება შეიძლება გამოქვეყნდეს ცალკე აქტის - გადაწყვეტილების სახით. ამ შემთხვევაში, ოქმი ცხადდება გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
13. საბჭოს სხდომის ოქმს ხელს აწერს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე (სხდომის თავმჯდომარე) და აკადემიური საბჭოს მდივანი (სხდომის მდივანი).
14. სხდომის ოქმს უნდა მიეთითოს:

    ა) სხდომის ჩატარების თარიღი, დრო და ადგილი;

    ბ) სხდომის თავმჯდომარის, სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების და ასევე, მოწვეულ პირთა ვინაობა;

    გ) დღის წესრიგი;

    დ) სიტყვით გამომსვლელთა ტექსტი (მოკლე აღწერა);

    ე) კენჭისყრის შედეგები;

    ვ) მიღებული გადაწყვეტილება.
15. საბჭოს სხდომის ოქმების წარმოებას და რეგისტრაციის უწყვეტობას უზრუნველყოფს აკადემიური საბჭოს მდივანი.

მუხლი 9. დასკვნითი დებულებანი

1. აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მიღება ან/და მასში ცვლილებებისა ან/და დამატებების შეტანა ხდება აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით.
2. რეგლამენტი ძალაშია დამტკიცებისთანავე.